

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 6

ქ.თბილისი

2017 წლის 2 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 2 მარტს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქვა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშუაგბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მიმართვა და მატჩის მეთვალყურის ზ. ბაქრაძის ოქმი, ამა წლის 26 თებერვალს, „დიდი 10“-ის ლიგის კალენდარულ მატჩზე გორის „ჯიქი“-სა და ბოლნისის „ყოჩები“-ს შორის, მომხდარი ფატის შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს წარმომადგენელმა გუგა გეგენავამ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ მსაჯს, რაც მსაჯების მიერ ხელმოწერით დაფიქსირებულია თამაშის ოქმში.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს წარმომადგენელი გუგა გეგენავა დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 2000 (ორი ათასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 2 აპრილამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/